ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 03 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: აკაკი ლურსმანაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში შესყიდვების გეგმის შესაბამისად 2024 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ

მომხს: ზურაბ იჩქიტიძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე 4251 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ36.03.37.501) შპს ,,ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალისთვის საქართველოში" პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით სარგებლობის უფლებით, სასყიდლით 2025 წლის 30 ივნისამდე გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

4.ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

5. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს #25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: დავით კიკნაძე საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

6. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ივნისის N 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: დავით კინაძე საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

7. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 იანვრის # 3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: დავით კიკნაძე საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 03 თებერვლის მორიგი სხდომის

ოქმი N 3

2025 წლის 03 თებერვალი

დაბა ხარაგაული **9 აპრილის ქუჩა #15**

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით კიკნაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, თორნიკე ავალიშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, ქეთევან ზუმბაძე, ბაქარი ბარბაქაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგი ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ავთანდილ კვინიკაძე, ეკატერინე შველიძე, ნანა გორგაძე, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კოსტანტინე ბერაძე, ინგა მაღრაძე, სულ საკრებულოს 30 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

ინგა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,

აკაკი ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი,

ზურაბი იჩქიტიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

მარიამ შარიქაძე საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი,

ივანე ჭიპაშვილი საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ინგა ბერაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი,

ანა ნიქაბაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,

თამარ მაღრაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,

ლაურა გოგოლაძე გაზეთ „ჩემი ხარაგაულის“ რედაქტორი

თამთა გოგოლაძე გაზეთ „ჩემი ხარაგაულის“ ჟურნალისტი

სულიკო გლუნჩაძე ოპერატორი,

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის დავით კიკნაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: აკაკი ლურსმანაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში შესყიდვების გეგმის შესაბამისად 2024 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ

მომხს: ზურაბ იჩქიტიძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე 4251 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ36.03.37.501) შპს ,,ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალისთვის საქართველოში" პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით სარგებლობის უფლებით, სასყიდლით 2025 წლის 30 ივნისამდე გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

4.ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

5. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს #25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: დავით კიკნაძე საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი

6. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ივნისის N 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: დავით კინაძე საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

7. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 იანვრის # 3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: დავით კიკნაძე საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 30 წევრი.

მომხრე 30

წინააღმდეგი

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსის აკაკი ლურსმანაშვილის ანგარიში საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ“

აზრი გამოთქვეს:

პავლე კიკალიშვილმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, მან აღნიშნა, რომ სამსახურის მიერ დებულების შესაბამისად არის განხორციელებული საქმიანობა, კომისიის სხდომაზე იყო დებატები, კითხვები და გაეცა პასუხები, კომისია სამსახურის საქმიანობას აფასებს დადებითად

ინგა მაღრაძე საკრებულოს წევრმა პარტია „ლელო საქართველოსთვის“,კითხვით მიმართა მომხსენებელს, როგორ ხდება რეაგირება შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე და თუ რომელიმე პირის მიმართ დადგა რაიმე პასუხისმგებლობის საკითხი.

აკაკი ლურსმანაშვილმა მომხსენებელმა უპასუხა, რომ სამსახურის მიერ შედგენილი დასკვნა წარედგინება მერს, რომელსაც ერთობლივად შესაბამის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ვიხილავთ გამოვლენილ ხარვეზებს და ვაძლევთ დროს აღმოსაფხვრელად, შემდგომ ხდება მონიტორინგი თუ რამდენად იქნა შესრულებული ჩვენს მიერ გაცემული რეკომენდაცია და კიდევ დამატებით ეძლევა დრო.

თორნიკე ავალიშვილი ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, ანგარიშში აღნიშნავთ, რომ სპორტის აიპისა და მერიის კულტურის სამსახურის საქმიანობაში ხდება დუბლირება, რაში გამოიხატება ეს და მეორე რატომ არ შეიტანეთ ანგარიშში მამუკა ლურსმანაშვილი, რომელიც გყავთ გაფორმებული აიპ სპორტის ცენტრში და სამსახურში არ დადის ხელფასს იღებს.

აკაკი ლურსმანაშვილმა მომხსენებელმა უპასუხა, გამოიკვეთა ასეთი ფაქტი

ვთქვათ სპორტის ცენტრს აქვს ჩატარებული ღონისძიება, რომელსაც აორგანიზებს მთლიანად კულტურის ცენტრი და მერიის კულტურის სამსახურს თავისი საქმიანობის შესახებ წარდგენილ ანგარიშში აქვს აღნიშნული ამ ღონისძიების ჩატარების თაობაზე.

ქეთევან ზუმბაძე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ სპორტის ცენტრში იმდენი ხარვეზია ამას ვერ დაწერ მესმის გია ბარბაქაძე, რომელიც არის სასწრაფო სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი, როგორ ახერხებს ექიმად მუშაობას სპორტის ცენტრში, მე შეჯიბრებზე ის იქ არ მინახავს, კიდევ დარბაზი გაყინულია და ბავშვები სიცივეშია, იატაკი დაზიანებულია და საფრთხის შემცველია ამაზე არ საუბრობთ.

პაატა გოგოლაძემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, სამსახურმა ანგარიშში წარმოადგინა სამსახურებში არსებული სიტუაცია, დასკვნას აწვდის მერს, იღებს მერი გადაწყვეტილებას, აძლევს 3 თვიან ვადას და ამოწმებს აუდიტი აძლევს დამატებით დროსაც შემდეგ თუ გამოიკვეთება დანაშაული არის შესაბამისი ორგანო და გადაეცემა მას. მე სამსახურის საქმიანობას ვაფასებ დადებითად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის პავლე კიკალიშვილის და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის პაატა გოგოლაძის მიერ წარმოდგენილი წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე
კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 30 წევრი .
მომხრე 22

წინააღმდეგი 1

კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1

თავი შეიკავა 6

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ზურაბი იჩქიტიძის ანგარიში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების გეგმის შესაბამისად 2024 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ“
აზრი გამოთქვეს:

პავლე კიკალიშვილმა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე, სამსახური პროფესიულად გამართულად მუშაობს, ტენდერებიდან აქვთ მიღებული ეკონომია, რომელიც მოხმარდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს, დადებითად აფასებს კომისია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის პავლე კიკალიშვილის მიერ წარმოდგენილი წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 30 წევრი.

მომხრე 30

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ინგა ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე 4251 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ36.03.37.501) შპს ,,ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალისთვის საქართველოში" პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით სარგებლობის უფლებით, სასყიდლით 2025 წლის 30 ივნისამდე გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ"

აზრი გამოთქვეს:

ბესიკ კვირიკაშვილმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე, ეს არსებული ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე თანხომბაა და კომისია მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს განკარგულების პროექტი მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 30 წევრი.

მომხრე 29

წინააღმდეგი

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ინგა ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ"

აზრი გამოთქვეს:

ბესიკ კვირიკაშვილმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ

საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე, ეს არის კანონის მოთხოვნა, ყოველწლიურად ხდება ახლის დამტკიცება, კომისია მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 30 წევრი.
მომხრე 29

წინააღმდეგი

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დავით კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს #25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
აზრი გამოთქვეს:

ინგა მაღრაძემ საკრებულოს წევრმა პარტია „ლელო საქართველოსთვის“, რომელმაც სხდომის თავმჯდომარეს თხოვა განმარტება, თუ რის საფუძველზე მოხდა საკრებულოს აპარატის უფროსის

თანამდებობის გადაყვანა ადმინისტრაციული ხელშეკრულებით მაშინ როცა საკანონმდებლო ბაზა აღნიშნულ ცვლილებებთან არ არის მოყვანილი, და რაც მთავარია ხელს არ უწყობს საჯარო მოხელის კარიერულ წინსვლას, ნაცვლად იმისა, რომ შევინარჩუნოთ პროფესიონალ კადრებს ვუშვებთ სამსახურიდან. კარგად გვახსოვს 2014 წელს აპარატის უფროსების შეცვლამ რა დღეში ჩააგდო მუნიციპალიტეტები.

დავით კიკნაძემ სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ჩვენ ამ ეტაპზე ვასრულებთ კანონის მოთხოვნას და მე რა განმარტება უნდა მოგცე პარლამენტის მიერ მიღებულ კანონზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 30 წევრი.
მომხრე 22

წინააღმდეგი 7

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დავით კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ივნისის N 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 30 წევრი.
მომხრე 22

წინააღმდეგი 7

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დავით კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 იანვრის # 3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 30 წევრი.
მომხრე 22

წინააღმდეგი 7

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე
სხდომის თავმჯდომარე დავით კიკნაძე